

ლების და ზარალის მაგიერ, რა უჭირდა რკინის გზას, რომ არ ასცილებოდა მუთისის და მადიდებოდა რამე რომელიმე მხრით ან თითონ გზისთვის, ან ქვეყნისათვის, ან მთავრობისათვის? — რასაკარგოდა, რომ არა! მაგრამ ზოგიერთმა მოსაზრებებმა დასძლია ამ ყველა საფუძვლებს და ესლა ჩვენს საჭიროთ გვიხდება საწყალი მუთისის ბედი.

მეველი.

თეატრის მნიშვნელობა.

შაბათს მე დავესწარი თეატრის საზამთრო თეატრში წარმოდგინებას და, უნდა გავტყუდე, ძრიელ ცუდი შთაბეჭდილებით გამოვედი იქიდან.

ჩემის აზრით მზგავსი უაზრო და გახეხილი მორალის წარდგენა საზოგადოებისთვის, რომელიც მე იქა ვნახე, წმინდა აგდება საზოგადოებისა.

არ იქნება, მგონია, არც ურიგო არც ნამეტანი, რომ საზოგადოთ თეატრის მნიშვნელობაზედ მოვილაპარაკოთ.

ზაზნეთისთვის დანიშნულ სტატიაში შეუძლებელია ვრცლად და საკმაო ნათლად განვიხილოთ თეატრის მნიშვნელობა. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე სიტყვით დავხატავთ, თუ რა არის თეატრი, და რას უნდა მსახურებდეს იგი?

თეატრი შეიძლება შეედაროს სარკეს. როგორც სარკეში დანახავს კაცი თავის სახეს, ისე სცენაზედ უყურებს საზოგადოება თავის გამოხატულებას. რამდენად კარგია სარკე, იმდენად სწორედ და ნამდვილად დავანახებთ ის თითოეულს თქვენს სიკეთეს, ან ნაკლებეფანებას. ასეა თეატრიც.

თუ კი პიესა წარმოადგენს ჭეშმარიტი ცხოვრების სურათს, თუ კი ის შეეხება ისეთ მხარეებს და მოვლინებებს, რომელთაც მნიშვნელობა და გავლენა აქვთ საზოგადოებაზედ, მაშინ ამ ნაირ წარმოდგინებას ინტერესით აღვივებს ყურადღებას კაცი.

მაგრამ ეს არ კმარა. ზარდა იმისა, რომ პიესა უნდა იყოს სიცოცხლიდან გადმოტანილი სცენაზედ და უნდა ხალხისათვის გადიოდეს თქვენ თვალწინ საზოგადო ცხოვრების სურათი, ავტორმა უნდა შესძლოს მიაქციოს თქვენი თვალი, გრძობა, ტენი თითონ მიზნებზედ იმ მოვლინებათა, რომელნიც მიიზიდენ თქვენ თანაგრძობას და სიყვარულს, ან ჰბადებენ თქვენში სულ წინააღმდეგ გრძობას.

ზოგი მწერალი შეთხზავს ისეთ დრამას, კომედიას, სადაც მოქმედნი პირნი გამოდიან, ლაპარაკობენ, იბრძვიან, მოქმედებენ, ერთი სიტყვით, აღენნ მტვერს სცენაზედ. თქვენ უყურებთ ამ სეირს და ჰფიქრობთ: მართალია ამ ნაირი შემთხვევები ხდებიან ცხოვრებაშიც, მაგრამ ეს სცენაზედ აბა რა გამოსაყვანია, რას ისწავლის ვინმე ამ ნაირი სურათის დანახვითა, რას გამოიყენებს მათურებელი? ამ ნაირი ავტორის შრომა დაკარგულია. ის ჰხედავს თითო ორ-ოლა მოვლინებას სადმე და ამ გარემოებიდან სთხზავს საზოგადო ცხოვრების სურათს. ავტორი ვერ ამჩნევს ვერც მიზნებს, რომელმანც შექმნა ერთი ან მეორე უხეირობა, ვერ იგებს ვერც საშუალებას იმავე უხეირობის მოსასპობად. ის პირ და პირ დაუფიქრებლად იღებს კალამს ხელში და რაც მოეარდება მის წარმოდგინებას სთესავს უმოწყალოთ და შეუბრალებლად ქალღმრთელს. ეს არ არის ჭეშმარიტი დრამატურგობა. და სამწუხაროთ, ამ ნაირი მწერლების თხზულებებით აწუხებენ ჩვენს საზოგადოებას.

თეატრალურ ხელობაში ბევრ გვარი კატეგორიის მწერლებია. შთაბრუნებელი მათგანი არიან: ერთნი რომელნიცა კაცობრივობისთვისების განხილვაში შესულან და ამყარებენ საზოგადო კანონს კაცის ბუნებისათვის. მათი ნაწერი საუკუნეა, მათი სიტყვა ყოველთვის ახალი და ცოცხალია. ასეთი არიან: შექსპირი, ჰუგო, მოლიერი, ბეტე და სხ. ამათი თხზულებები ერთნაირად გასაგებია როგორც ინგლისელისთვის, ზრანცუზისათვის, გერმანიელისათვის, ისე ქართველისთვისაც.

ამ გვარ პიესებს ჩვენ არ ვხედავთ ტფი-

ლისის სცენაზედ.

მაგრამ არიან მეორე გვარი მწერლები, რომელნიც შეეხებიან მხოლოდ თავის საზოგადოების ნაკლებეფანების და სიკეთის გამოხატვას. რასაკარგოდა, ყველა საზოგადოებას, ყველა ხალხს თავის განსხვავებული ცხოვრება აქვს; მაშასადამე განსხვავებული ჭირი და მხიარულება. თავის ქვეყანაში ამ ნაირი მწერლები ძალიან სასარგებლო და ჰატივსაცემელი არიან; იქ კიდევაც მოაქვს მათ ნაწერს ნაყოფი. მაგრამ აჩვენეთ იგივე პიესა მეორე ტომის კაცს, რომელიც ერთი ტომისთვისებს შეეხება მარტო და თქვენ დარწმუნდებით, რომ კერძო საგნის გასაზოგადოება მოუხერხებელია.

ასეთი არიან ზოგოლი, მსტროვსკი და სხ.

რუსეთის საზოგადოებისთვის იმათი წარმოდგენის ყურება დიდთ სასარგებლო და ჭკუის მასწავლებელია, გარეშე ტომის ხალხისთვის კი სრულიად უმნიშვნელო და, იქნება, მოსაწყენიც?

დრამატურგი ერთის მხრით ექიმსა ჰგავს. ის გელაპარაკება თქვენს სწულზედ, განივებსთ საშუალებას, როგორ მორჩეთ და ცხადია, ამ ნაირ კაცს თქვენ სასოებით დაუგდებთ ყურს. მაგრამ წარმოდგინეთ, რომ ერთ ქვეყანაში გულის ტკივილია მარტო და იმის აქიმები იშოვება იქ. თქვენ კი მეორე ქვეყნიდან ხართ, სადაც, ესთქვათ, გულის ტკივილის მაგიერად ცივებ-ცხებება გავრცელებული ზარებს თქვენ რასმეს პირველი ქვეყნის ექიმის რჩევა? იქნება თქვენთვის ან საინტერესო, ან გამოსადეგი ის წამლობა, როგორც სჭირიან გულდაზიანებულ ადამიანს, მაშინ როდესაც თქვენ ცივება გაკანკალესთ ყოველ ცის-მარეღვ? აქედან ცხადთ ჩანს, რომ ყოველ ხალხს უნდა ჰქონდეს უთუოდ თავის საკუთარი თეატრი. ე. ი. სადაც ის დინახავდეს თავის ცხოვრების სურათს და ვეძიებოდეს მას, ან გასწორება, ან წაბადვა. თორემ მოზრძანებულხარ, შედაცილო მწერალი, — და მეუბნები რაღაც გაუგებარ ჩემთვის აზრებს, ჩვეულებებს, თვისებებს და გინდა,

რომ მე ამათი რამე შემიძინო. სხივებული ჭეშმარიტად! აქ თეატრი სრულიად ჰკარგავს თავის მნიშვნელობას და სცენა რაღაც სატყუარ და სხივული მოედნად იქცევა.

წერილი აბაშაი

ვიბატ ძველი შორის ძალადის უშლი დარჩინა, ვაშლიანთ რომ პირველ მანისადის კიდევ გამოცხადონ ნაზინაში და ბანაის განყოფილებაში.

სიონის ეკლესიაში როგორც რუსულ გავთში, „თეატრის მოამბეში“, სწორედ სასამოსლიდან ბევრი რაღაც ნივთები მოუპარავეთ. ამბობენ, რომ ეს ქურდობა მარტო ერთჯერ და ორჯერ არ მომხდარა.

ჩვენ ვითხოვთ გამოცხადოთ, რომ ორასი მანეთი მიეძევა საჩუქრად იმას, ვინც მართლად ცხოვრობდა საუკეთესო დრამულს თხზულებას წარმოადგენს „დროისის რედაქციაში“.

წერილი

ამ სამშაბათს, ქ. თეატრისში, სიონის ეკლესიაში დასაფლავეს ერთი კეთილის გრძობით აღესილი და სამაგალითო ხასიათის მოხუცებული ქალი, განსვენებული მ. ალექსანდრე მახტანგისძის ჯამაჯურობა-მრბელიანის მიუღლე მკატერინა ბართოლის ასული. ნეკროლოგის მაგიერ ჩვენ ვებეჭადთ აქ სიტყვას, რომელიც უნდა წარმოეთქვა განსვენებულის საფლავზედ ერთს მისს პატივის-მცემელს ნაცნობს, მაგრამ რომელიც არ წარმოუთქვამს მას.

კიდევ ერთი პატიოსანი გვახი დასჯდა ჩვენს ქართველს საზოგადოებას და საკუთრად ჩვენს ქალქს. სამის წლის წინათ რომ სთვლავს შემოგვხეიანთ, იმის გვერდით მეორე სთვლავს მომზადებული, რომელმაც წარგეტაც ერთი ძვირფას-

ვგ კი აღარ მესმის, ნუ თუ შენ ამ ხალხს ესაღმებოდი, ნუ თუ ამ ხალხთან იხიდი ბოდიშს შევით?

— ნეტა რასა ბრძანებთ? საცინლოთ ვგდებდი. ნასადილევს რომ თქვას გამაძლარმა და მად-დაკარგულმა კაცმა, დღეის იქით პურს აღარა ესჭამო, განა დასაჯერებელი საქმე იქნება? ისეა მწერლის საქმეც, განა წწერალი კალამს მოიშორებს?

— ძი, მაგრამ, რომ ვინმე დაიჯეროს?

— მაშინ იმას ანდაზას ჩაუჭირებოდა თუ უნდა და მოგვარებოდა ხურმას.

— მე კი შემაშინე და! მაშ თუ მაგრეა და ხუმრობ, მშვიდობით, შენთან დროს აღარ დავკარგავ, სხეებიც ბევრი მყავს სანახავი. ამ სიტყვებით გამოამთხვავა ის ელაც უჩინარი და ერთი რევეული დამიტოვა, რომელშიაც ძველი დროს ანბები სწერია: როგორც ვფიქრობ, ეს უნდა იყოს პაპიჩემის პაპის დღიური, განსიენებულის დავით წერეთლის. დღეის იქით თითო ოროლა ამბავს ამოვიღებ იქიდან, დაეგუდავ და იმეღია, რომ ბევრ რამე შესანიშნავს გავიგებთ ძველი დროის შესახებ.

დღიური

ნეტავ თუ კიდევ იყოს დედა-მისის ზურგზედ იმისთანა კუნჭული, რომ საქართველოსათვის ჭირნახული იყოს და ან მის ხალხსავით სხვა ხალხს გმირობა გამოეჩინოს? მერც მტრების სიმრავლემ, ვერც შეგვდით-

მა საუკუნეებმა ვერ შემუსრეს მისი ხალხი. იყო, არის და იქნება ერი პურადი, გულადი, მტრთა მიმცემი რისხვისა. „მისაც გავკარგება უნახავს, ვინც უბედურობაში გამოფოლადებულა, კაციც ის არის. ძველი დროს მწერლები, როდესაც გამოხატავდენ რომელიმე გმირს თავის თხზულებაში, მაგ. მახილოსი, ვერ სამოთხიდან ვჯოჯოხეთში ჩაუძახებდა, გამოაცდევინებდა სიმწრის წვეს და ბოლოს კლდე-კაცად გადაქცეულს გმირის სახელით აგვირგვინებდა და არა თუ მარტო სხვისი მწერლები, ჩვენი მგონებიც იმას უგალობებდენ ჩვენს ხალხს: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა, ვით ქეთიკოსა“, „ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ემებ გემოვნებასო“ და სხ. და სხვ. სრული თანახმა ვარ ამათი. ჭირნახულობა არის კაცის სიმტკიცე და გვირგვინი. თუ კაცი სულ ბედნიერებაში და ფუფუნებაში ყოფილა, ის სულით ვერ ამალეებულა და პირუტყვივით გადაყლია თავის მძორს. რაც თვითოეულ პირზედ ითქმის აქა, იგივე უნდა ითქვას ხალხზედაც. ამ გვარ იგივე მიზნებში იყო საქართველოს ხალხის ზნეობითი ამალეების, ხალხი ხედავდა თვის-მორის მგალითებს. მგონები დაუმდერდენ მათ ზნეობითს ამალეებაზედ და ეუბნებოდენ ზემოთ რომ მოვიხსენეთ იმ

გვარ ლეკებს. მეფეები ეუბნებოდენ ხალხს: „ჩვენც თქვენთანა ვართ ჭირში, ჩვენც თქვენი ტოლი მგომარი ვართ“ და გადიოდენ საომრათ ერთი ერთთან, როგორც მახტანგ ბორგასლანი. მამულის სიყვარულისა და სარწმუნოებისათვის სრულის მოთმინებით იღებდენ წმ. მოწამის გვირგვინს, როგორც მაგ. ჰეთეფანი და სხ. და სხ. აი იმ დროს ამ გვარის მგალითებით ზნეობითად იყო ამალეებული საქართველო და მრისტეს მოძღვრების შინაარსი შესწავლილი იყო ჩვენი ხალხისაგან, მაგრამ დღეს კი ვაი საქართველო! — მოსე წინასწარმეტყველი ანბობს დაბადებაში, რომ ებრაელების ხალხი, როცა გაძლიერდებოდენ, მაშინ იფიქვებდენ ღმერთს და ირისხებოდენო. იმავე კანონით დღეს ჩვენს ხალხსაც ისე დავმართა: როდესაც გარეშე მტერი დროებითად მოგვმორდა, ხალხმა დაჰკარგა ზნეობა და ქრისტიანობისაც მხოლოდ გარეგანი ფორმა შეგვრჩა და შინაარსი კი დეკარგეთ. არა თუ ვერი, სამღვდლოებაც კი შეიცვალა და აღარ რომ საქართველოში ასრულებდა: „უსასყიდლოდ მივიღებდით და უსასყიდლოდ მისცემდითო“, დღეს ის აღარა სწამს და ასე იძახის: სასყიდლოთ მივიღე და სასყიდლოთ მომეცითო და, როგორც მგლებს ხროვა ცხერებში, ისე დავლიჯობენ ეს მწყემსკეთილები თავიანთ სამწყსოში. ისე თე-

ლო-მაქცობენ, როგორც ძველ დროში ქურტუმბი. აი მაგალითად: ერთი მღვდელი მოკვდა, გასვენეს და დაძარხის დროს კუბოში გაცოცხლდა ისევე, თურმე საგათას ძილი მოსვლიდა და გამოეღვინა. ხალხი რას მიხედებოდა? ეს ანბავი ძალიან გაუკვირდა; მღვდელმა ხალხის უმცირებით ეს შემთხვევა გადაქცია თავის სასარგებლო წყაროთ: მოუყვა ხალხს, მე საიქიოს ვიყავი, ღმერთი ვნახე, ძალიან გარისხებული არის თქვენზე და შემოგივალათ, რომ თუ ვჯოჯოხეთში თავის ამოყოფა არ გინდათ პირ-და-პირ, მათ სამღვდლოებებს ჰატივი ეცით და საწირავი მიუტანეთო. ხალხმა დაიჯერა და სასულიერო წოდების კეთილდღეობა გაორკეცა ამით. ეს ამბავი გაიგო მეფემ და კიდევ მიხედა, რომ ეს იყო სასულიერო წოდების თელო-მაქცობა, მაგრამ რა ექნა, როგორ უნდა დაეჯერებია ხალხი? შეიფერა, ვითამ მართლა მჯერა მისი გაცოცხლება და ერთ დღეს გაშალა დარბაზი, მიყარა ხალხი და მოუწოდა მღვდელს, მიიღო ხელზე ემთხვია სააოებით და ჰქითხა: ვმიღაო მამაო, მომიყევი რა ნახე საიქიოსო. მღვდელმა შეფერვებით დახველა და მოჰყვა მოწიწებით:

„ბატონო მეფე! მოვეცი თუ არა გამოამეცხადენ მრავალ ფრთიანი ქერაბიძნი, ექვს-ექვს ფრთანი სერაფიმი და მასთან გუნდნი ანგელოსთა: სიურის გალობით ებნითა და წინწილებით მიმიყვანეს მამა შევალთან, ეცნაველი მის ძლიერებას, შევალი ბრძანებოდა ოქროს ტახტზედ.“

აკაკი.

ნი დედა, ძვირფასი მეგობარი და ერთი პატრონის წევრი ჩვენი საზოგადოებისა. რა გულის დამბეჭდვას, რომ ამისთანა სახელები მიეცემა ჩვენს კვატრინებს. განს მართლა იმისი პატრონისა მართალი არ იყო, იმისი მეგობრისა სამაგალითო მეგობრისა არ იყო, და ქმარ-შვილის სიყვარული ნამდვილი დედის სიყვარული არ იყო. დიანაც და აი ჩვენ ვუკვან ჩვენს კვატრინებს მტრისად რადსაც დიდს მწუხარებას და ამასთან დრმას პატრიარქისა გვრძობით. ვუკვან კარგათ ვინცდით ამ მშვენიერის გულის პატრონისა, მშვენიერს ადმტრის სასიათის მქონეს! იმისი მტრით, ბევრთად გამოთქმული სიტყვა მრავალს მწუხარებაში გაგვამხნევებდა, ამ სიტყვასთან შეერთებული საჭე მგაღობს გვაძლევდა, მწუხარებას გადაგვიტანდა და რადსაც მრთელს და წრთელს ძალას ჩაკვირებდა სულში. იმისი გამამხნევებელი მონაწილეობა დაძაბუნებულ სასიათს გვისწარმოებდა.

ერთის სიტყვით ის თავისი სიტყვით და საქმით უოკვლს შემსვედრელს ადამიანს თავისი კეთილშობილებას გადასცემდა. ვინც კი იმს დასალოკობა ერთს წამს მიანდა, იმს არას დროს არ დაავიწყდება ჩვენს კვატრინებს პატრონისა.

აი რა ძვირფასი რამ დაჭკარვა ჩვენს საზოგადოებაში. ვირველ შეუდლებიდანვე სამაგალითო სიყვარული აერთებდა იმ დროს სასოვარ გვათან, რომლის გვერდით უნდა განსვენდეს საუკუნოდ. სადაც მოსახსენებელია თავადი ალექსანდრე ორბელიანი, მუდამ განუმარებლად მოსახსენებელია კვატრინე. 17 წლის (1824 წ.) გათხოვებული ქალი ორბელ და ათის წლის შემდეგაც რა სიყვარულით არის შეერთებული ქმართან, თითქოს ერთის თავის ცალქმარნი იყვნენ. რა იყო მიზეზი ამ სიყვარულისა? ის რამ ორნივე ერთის პატრონისა იყვნენ, ორთავე ერთის საზოგადო სიკეთისა ქმარდათ სახე გული, ორსავე ნამდვილის სიყვარულით უყვარდათ სამშობლო ქვეყანას, ორნივე თითქმის ერთ გვათან მრთობდნენ ამ სამშობლო ქვეყნის სიკეთისათვის. ძალის იშვიათნი არიან ჩვენში ამისთანა გვები, და კვებზე იშვიათნი ქალები.

სიმაჟინელითვე ჩვენს კვატრინე სულითა და გულით იყვარებს ქმართელ მწიგნობარსა, რომელიც განსვენებულის ალექსანდრეს სიყვარულსა განსვენებულის იყო და განსვენებული ჩვენს მწერლობაში. ეს სიყვარული სამშობლოსი იქამდის განსვენებულის ცალქმარის სიყვარულსა, რომ ფრადს გაჭირვებულს მდგომარეობაშიც მტრეც შეგობდა და შეუდარებელ ამსახვად უზნდება თავის მეუღლესა და უოკვლს ნაღველში თავის სიმსხეს არ აჯდება.

შემდეგ პატრონისი ალექსანდრეს შემწეობით 1857-ში განსვენებულს «ისკარს», და საზოგადოდ ჩვენი უკანასკნელის დროს მწერლობის ისეთივე მამსრე და მოღვაწე ჭეჭხს დედაცდობაში, რომ გარდა განსვენებულის იმისი მეუღლე იყო საზოგადოებაში. უოკვლს საზოგადოებაში იმისი სიტყვა ჩვენს მწერლობაზე და ნაწერებზე არას დროს არ დაჩუქებულა. თუმცა თითონ არ იყო მწერალი, მაგრამ ცხოველის სიტყვით და მიწერ მონაწილეობა ატეულებდა და ასახიხებდა ჩვენს საზოგადოებას, რომ თავისი ცოდნის საყოფა ჩვენს ქმართელ მეთისკვლებისათვის გადმოცემით. ის სხვა რათ შენიშვნებს უკეთებდა თარგმნილს და ნაწერს და თავის მეგობრებს აჩვენებდა ისტორიულს თხზულებას, აჩვენებდა და ადმტრება თავის მტრებში სხვა და სხვა ვითსასა და პასას.

უკანასკნელ დროს, რადესაც ჩვენს ქალებში დაიწყო უმაღლესი სწავლის სურვილი, ამას უსაძრად სრულის გულითა და ალტრეობითა. ამის მონაწილეობით უმასხებდა, რომ ჩვენი ქალები უხიარობას უსწავლავდნენ და ნაგლები სწავლისაგან არის. დიდაც სწავრობა ჩვენი ქალების განხილვებს, რომ ქვეყანასაც გამოადგენ და თავის თავსაც.

ეს გრძობით სახესი დღეს დაჯგუფებით ამ მშვენიერს ნაშის მშვენიერის სულისას. ამ მწუხარებათა გსწრით ჯერ კიდევ მხე ადამიანის მონაწილესა. ნუგეშად გვჩვენებს ჩვენ ამისი მაგალითი, და ის რწმუნება, რომ რაგორც ამისი მაგალითი მარად სასოვარ დაშობა ჩვენში, აგრეთვე ამისი მოსხენება. იყოსმცა საუკუნოდ ჩვენში შენი მაგალითი და საუკუნო ხსენება.

დ. შვიკაშვილი.

«დ რ მ ბ ა» კორესპონდენცია

დ. შვიკაშვილი, 20 ნოემ. 1873 წ.

ჩვენში ცხლა მესამე ირჩევენ სოფლის მოხელეებს. მოხელეების არჩევაზე დაესწრებოდა ხალხი, ანუ უფლის ნაწილი იყო და მისი თანამშრომელი, ანუ მომრიგებელი მუშაობდნენ, მხოლოდ პოსტოლის პოსტოლისკაცი, ამ ექვსი წლის განმავლობაში ჩვენმა გლეხებმა ისწავლეს ცოტა ქუთა და ცხლა უმეტესად ყურადღებას აქცივენ სოფლის მოხელეების არჩევას. პირველ აღჩევაზე, როგორც ამბობენ, თვითონ კი არ არჩევენდნენ სოფლის მოხელეებს. პირველად, მართლა, სრულდებოდა არ იცოდნენ გლეხებმა, თუ რა დიდ უფლებას აძლევდნენ თავის თავზე იმ პირებს, რომელსაც თვითონ ირჩევენდნენ. მაგრამ, როდესაც ბევრი სიმწარე მიაყენა მათ მათმა არჩეულმა პირმა და კუდამდის გასტყუა, მეტი რაღა ღონე აქვს, რომ ჯეროვანი ყურადღება არ მიაციკონ ამ საქმეს. ზოგიერთი ძველი მამასახლისი ას მანეთს დახარჯავს რომ ხელმოკრეთ დაყენდნენ საზოგადოებაში. ამისთანა კაცები, რასაკვირველია, არაფერ კეთილს მოასწავებენ საზოგადოებისა და გლეხებისათვის. პირველად მოხელეების არჩევის დროს პარტიობა ხალხში არ ყოფილა, მაგრამ ცხლა, ჩვენს აზნაურობის არ იყო, ძლიერ გაჩნდა პარტიობა გლეხებშიც. მს ნამეტურ მოახდინა ორი სამი საზოგადოების შეერთებამ ერთად. პირველად შორაპის უფლებში სამოცდა ექვსი საზოგადოება იყო. ბოლოს მათგორამ სამოცდა ექვსი საზოგადოებისაგან ოცდა რვა საზოგადოება შედგინა. მხლა თითო საზოგადოებას შეადგინს ექვსასი, შვიდასი და ზოგ ადგილას რვაასი კომლი გლეხი. ბევრს ორი სამი მცირე საზოგადოების ერთად შეერთება სასარგებლო ეგონა, თუმცა გლეხები ამაზე ყოველთვის უარს იყენენ. მაგრამ ცხლა, ეგონებ, ყველამ გაიგო, რომ ის არა თუ სასარგებლო, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში საზარალია. პირველად ჩვენ ვეჭვობდით, ერთი საზოგადოება შეიდასი კომლიანი ადვილად შეინახეს სოფლის შკოლაში, მაგრამ ამაში მოეტყუდით. წინეთ, ცუდი იყო თუ კარგი, მაინც იყო აქა-იქ სოფლებში შკოლები და დღეს შორაპის უფლებში ერთი სახალხო შკოლა აღარ არის. სოფლის მალაზიებზე ლაპარაკი ხომ სულ გაქრა ჩვენში!... ხშირად ბევრი საქმე წყდება სოფლის ყრილობით. ხანდისხან ისეთ საქმეს მიანდობენ სოფლის ყრილობას, რომ არა ღირს იმაზე შეიდასი გლეხმა თავი შეიყაროს. სადაც საქმე იქნება ღირს სამ თუმნად და სამი თუმნისათვის ექვსასი კაცი ერთი დღე ტყუილა კდება. მართლა სოფელში მეორე სოფლის ამბავი და ხალხი არ იცის. ამა მიზეზისა გამო საიმედო პირს

ვერ ირჩევენ ხალხი სოფლის მოხელეებთან გლეხები. მართი მხოლოდ პოსტოლისკაცი, როგორც ამბობენ, ამ გასაქრში ხალხს ძლიერ ეხმარება; ის თურმე თვითონ აღორჩევს ხალხს მამასახლისის და სოფლის კანდიდატებს და ბოლოს უქვებს ხალხს, რომ იმისგან არჩეული პირები სასარგებლო იქნებოდა მათთვის. ხალხი, რასაკვირველია, მადლობას სწირავს მას და თანხმობას უცხადებს მათ დაყენებაზე სოფლის მოხელეებთან!...

საზოგადოათ უნდა ესტკეთა, რომ სოფლის მოხელეების აღჩევა კარგად არ მიდის ჩვენში ჯერჯერობით. მაგრამ საწყლად გლეხებსაც გაუჭირდათ საქმე. მთუ ნასწავლი და გამოცდილი გლეხი აღორჩევს სოფლის მოხელეთ, სუყველას ატყავენ და თუ უცოდინარი აღორჩევს, მთავრობისთვის არ ვარგა. ბევრი შენატრის ძველ დროებას, მაგრამ როდის იქნება ნეტადი ის დრო, რომ კაცი მას არ ემდუროდეს?.. ანუ როდეს დაწყდება ისეთი წესი, რომ ბოროტ-მოქმედება აღარ იქნეს!...

შ - ელი.

ს. კლდეთი, 1 დეკემბერი 1873 წ.

ღიღება შენდა ღმერთო! რამოდენ განათლებულ პირებს ვხედავთ ცხლა ჩვენში! მისაც შეხედავ სულ თვალ და თვალ ნათლებიან. სად არის მარხვა? სულ ხორცის ქამას ნებულობს ყოველი კაცი. ძარბი, რომელიმე დიდი სწავლით არიან დასწავლებულნი და მით ზოგს ბუასილი სჭარს, ზოგს თავის ქარი აქვს ატეხილი, ზოგს თუ ბნედა და ზოგთ ტანში აქვს დაბნეული სენები და ზოგიერთს კიდევაც გააგიჟებს და ამ გვარი პირებს ლობიოს და მისი ამხანაგების ქამა ანებს, მაგრამ ხორცის ქამითაც არ მთელდებიან. ისევე უნდა ეძიონ კარგი ექიმები, თორემ ხორცის ქამა ვერას უშველის. მაგიჟებულის ექიმს მე ვასწავლი და, იმედია, დანარჩენ სწავლებებსაც ის დაყენებს გზაზე: პირველი ს. ბ - ში, მეორე ღ - ში და მესამე ნ - ში. რომელნიც სწავლნი არ არიან და განათლებულ სწავლით მარტო ხორცის ქამას თვლიან, ამას რა დაფარქვით? ამ გვარ პირებთ დაფარქვე მე ტანმრთელ როზანს ანუ ტრიზონს და მარტო ერთი საგნის მიმხედველს. — სხვა ანბავი კიდევ, ბატონო?

მხლა არა, კაი ხანია მღვდლებს წახედეს წვერების მოშვება. ჰე, აწი მოგახსენებ, უფლო მკითხველო, საწყალი მღვდლების უბედურ ცხოვრებას, რადგან მეც მათი ამხანაგი ვარ და იმით რაც უნდა ის ქამონ, რა მათი ჯავრი მაქვს? ან სწავლება მეტი იქმნება?

მაა საწყალი მღვდლებო არა ქალაქის ადგილისა, არამედ სოფლებო მღვდლებო, გალტაკებულებო, რომ ვერას დროს თქვენ წელს ვერ წამოიღებთ! მისი არა გაიშვარა ენიც საწყალი სოფლებო მღვდლებზედ სტქვა ან სტქვას დაწინაურდნო. აბა საიდგან არიან დაწინაურებულნი, თუ ღმერთი, გწამსთ, ჩინით, შემოსავლით თუ სხვა დიდებით?

მაა საწყალი სოფლებო მღვდლებო, გალარბებულებო და ვალებით დავსილო! მკითხველო, ცხლა მოგიყვები საწყალები სოფლებო მღვდლების მრთელი შემოსავალი რა არის და იმ რიცხვიდან გაერიცხე უნებურ გასაღებს და ნახამთ რამოდენი დარჩება.

მითოეული მღვდლის მრეელი შეიცავს 50 კომლიდან 100 კომლამდე, ამ რიცხვში შეიძლება ერთოს მესამედი თავდაზნაურობა და დარჩება, 100 კომლში რომ მე სამედი გამორიცხო, ესტქეთ, 69 კომლი; ესენი იქმნებიან 2 მანეთის გარდახდელი მღვდლების სასარგებლოთ. მაგრამ იმ 69 კომლიდანაც ისეთები გამოიყვება, რომ ისიც გასაწყლებული *). იმ 69 კომლით, ესტქეთ, შედგება 2 მანეთისაგან სულ 138 მანეთი. მკითხველო, ამას ვანგარიშობ დიდი მრეელისაგან. მწერებელსა და მწერებელსა ისეთი გაჭირვებული გლეხები, რომ ვაჭირვებული სიცოცხლის მეტი არა გაახილეს რა და რას გარდახდენინებენ *), მაინც ისევე მთლათ 138 მ. მხლა ამის მიღება იყურე, უ. მკითხველო, რამოდენს ითამაშებს ეს ფულები, ერთი სიტყვით, ცნობაც გაგიჭირდება, იმ სახით დაეცრება გვერდები და გაჭუქიანდება.

მს 2 მანეთი არის ორ ნაწილად გაყოფილი, ესე იგი ერთი მანეთი ანუ თითო მანეთი სეკტემბრის თვეში, და მეორე მარტის თვეში; მაგრამ პირველის მიღებამდი ოთხიხუთი თვე გაივლის და ისე მეორესი, ჯერ თვით ნაცვლები და მათი მამასახლისი ალბ მიმცემობს, რადგან იმ დროებში სავაჭროს თვით იათათ იშოვნიან და როდესაც სიძვირში წავა, მერმეთ საწყლებმა მღვდლებმა იკითხონ, თუ რამე დასჭირდეს საყიდლოთ.

საიდამაც იქნება, რომ დაილაღება საწყალი მღვდელი, ძვებით ეგებ მიიგნოს პირველი ნაწილი და მეორეც მისის ანუ ივნისის თვეში. მიიღებს იმ 138 მ. აქედამაც უნდა მისცეს საწყალი ორ პირიჩეტიკებს მესამედი ნაწილი, მესამედი ნაწილს გარდა დარჩება 82 მან. 34 კ; აქედამ გამორიცხე კიდევ აღსარებითი სიის, მეტრიკას ბლანკების საშრომელი, რომელსაც მიიღებენ ბატონი ბლალაჩინები 9 მანეთი. მარდარჩა 73 მ. 34 კ. ამაშიაც გამორიცხე 5 მ. ერთ დროებით შესაწვენელი „სახელათ“ სასულიერო პირთა და გაუთავებელი ბეგარა? შემდეგ დარჩება 68 მ. 34 კ. ცხლაც ამ დანარჩენ 68 მ. 34 კ. გამოერიცხათ შკოლის გასაუჯობებელი და გაუთავებელი ბეგარა 25 მან. ამოდენ უბედურებას გარდარჩა 43 მ. 34 კ. სხენებული გამორიცხვა ყოველ წლებით არის და ესეც სახეში იქონიე, უ. მკითხველო, 100 კომლიანზე ვანგარაშე და იმის ქვეით იფიქრე რაღა გადარჩება.

მ. ვადაზნაურობის შემოსავლისაგან საანგარიშო არა ფერი არ არის. მით არა სურსთ მისცენ საწყალი მღვდლებს რაიმე და მოწინააღმდეგე მათი ძალით გარდახდენინებისა არა ვინ აღმოჩნდა. ისევე არჩავს და გამოარჩევს მათ ბოქაულათ მათივე სუსტი საწყალი მღვდლები. ამ სახით, რომელ თუ რამე დასჭირდეს უანგარიშე და ისე აიღეო, საიდუმლო ნათლის ღებას და ზიარებას ვერ დაუჭერს და სხვა თუ მოგთხროვან, ბევრი მაგინე; საგვირგინო თუ როდისმე გამოჩნდა ამ გვარ პირებში, მაშინ კი აიღებენ რამოდენიმე ანგარიშის დაკლებით. მაგრამ ვაი იმ ალებას, საწყალს მღვდლებთ გამოაკვეტიებენ ყურს, ფიცხლათ გარდაუწყვეტენ. ამ სახით, ერთი წილი დაუბრუნდეს მომჩივანს და ორი წილი წარდგინდეს სასარგებლოდ შკოლისა და სუსტ ბოქაულს ომლით შეხელილი, ტყემალი ყნოსავც ყყოფა. ისევე მიუბრუნდები სხენებულ 43 მ. და 34 კ. მრთელი წელიწადი გასაწყლებული მღვდლები ამის მაყურებელი უნდა იყოს? მაი საწყლებო მღვდლებო ზოგს ისიც არ გარდაგრჩება და საიდგან შეასრულებ, რაც დაგაკლდება ძალა დატანებულ გარდასახლზე, რა რჩევაზედ ხართ, ისევე უნდა უმატოთ ვალებს? მეტი ჯანი არ არის, სანემდი გავსძლოთ ვალები ეილოთ

*) როგორც მღვდელი იმისთანა ვერი.

***) ცხლა კაცთ ერთ კაცს შარვალი ვერ გახადესო, ალბათ არ ეცობდა.

სო, ალბათ არ ეცობდა.



და ისე გაუძლოთ ყველას, მაგრამ ვალზე-
დაც რომ აღარ გენდენ? ვალის ამავალი
აღარ აქვსო? მაშ რა ჰაზრზედ ხართ? მეტი
საშველი არ არის, ვეგებ ნახოთ სადმე ის
კანონი, რომ ნებას აძლევდეს მღვდელს
სხვა სამსახურში გარდასვლას.

ისინი ამტკიცებენ, რომ მთავრობას არა აქვს ნება
გაჩეროს კიდევ სამხედრო მდგომარეობა. სამხედრო
მდგომარეობა რომ დროს იყო შემოყენილი და ეხლა
რომ აღარ არის, მაშ ვისთვის არის, რა საჭიროა, ამ-
ბობენ დეპუტატები.

მ. ა. ა.

უცხო ქვეყნები

საზრანგეთი.

საზრანგეთის მმართველობა ძირიანად აპირებს ეხ-
ლანდელი პოლიტიკური ცხოვრების შეცვლას. იმან და-
ნიშნა ამ აზრისთვის კომისია, სადაც თითქმის ყვე-
ლა მონაწილეობა, და ეს კომისია აღგენს ეხლა
კანონებს. რასაკვირველია, პირველი საზრუნველი ს.ქ-
მე მმართველობისა ის არის, რომ შემდგომისთვის
რაც შეიძლება შეამცირონ, ან და სულაც მოსპონ
მუშა ხალხის კენჭში მონაწილეობის მიღება. ნაცი-
ონალური კრება და მასთან მისი აზრის გამოხატვე-
ლი სამინისტრო დარწმუნებულია, თუ რომ კენჭის
ყრის კანონები არ შეკრიბეს, არ დაამხინჯეს მოქა-
ლაქების უფლება, სწორედ შემდგომი ნაც. კრება წმინ-
და რესპუბლიკელებისაგან იქნება მდგარი. მაშინ
ეს კრება პირველ თავის მოვალეობათ ნახავს, რომ
ყველა ეხლანდელი პალატის გარდაწყვეტილება მოშა-
ლოს და ისეთ საფუძვლებზედ დამყაროს საზრანგე-
თის ცხოვრება, რომ ყველა ხალხის თავისუფლებას გა-
საჭირო აღარ შეხვდეს.

რაკი ერთხელ ხალხის სურვილის ნამდვილი წარ-
მომადგენლები შეიქმნებიან საზრანგეთის ბედის გამგე,
ქვეყნარბი ანისტორატის და ბურჟუაზიის ბედი სამუ-
დამოთ გადაწყვეტილი იქნება. იმათ აღარ ეღივსებათ
არასოდეს არც უფლება, არც პრივილეგია. და რა
არის ის საზოგადოების ნაწილი, რომელიც თითონ
არ შრომობს, მხოლოდ სხვისი ოფლითა იკვებს სულს
უპრივილეგიოთ, უფუფლებოთ? აი ამისი ეშინიან ბრო-
ლის და მის აქლას.

ამ დროს კიდევ, როცა ისეც სულ სახელ გატე-
ხილი და შერცხენილია ეხლანდელი მმართველობა
საზრანგეთის თვალში, წამოიწვიან რესპუბლიკელი
დეპუტატები და თითოეულ მმართველობის უსამართლო-
ბას, სისუფლეს, დესპოტობას ააშკარებენ საქვეყნოდ.

ამაზედ წარმოუთქვამს 5 ნომერს გულგამაგი-
რავი სიტყვა, ლოკრუს, ლუი-ბლანს, შელ-შერს

ამას წინეთ ამავე საგანზედ ილაპარაკეს ლამიმ
და შერიმ. ისინი კიდევ უფრო გასაოცებლად ჰკიც-
ხედენ მმართველობას. მაშინ ბროლიმ უპასუხა: რო-
დესაც კონსტიტუციონალური კომისია დაადგენს ისეთს
კანონებს, რომელიც დაიცვენ საზოგადო მყუდროებას,
მაშინ ჩვენ ავსნით სამხედრო მდგომარეობასა. — დიდ
თქვენ გასურსთ, უპასუხეს მინისტრს, რამდენიმე დე-
პარტამენტებს ახსნათ სამხედრო მდგომარეობა, მაგი-
ერათ კი მთელ საზრანგეთში შეიყვანათ უარესი წყე-
სიო. მიღაცამ მარჯვენა მხრიდან დაიყვირა ამდროს:
სანამ ხალხის ღელვა არ დამშვიდდება, მანამ არ იქნება
სამხედრო მდგომარეობის ახსნა! ლამი უპასუხებს:
განა ეხლანდელ მმართველობას რომ ითმენს ხალხი,
ეს არ ამტკიცებს მის მოთმინებას? მარცხნივ შეიქ-
ნება საშინელი ტამის ცემა. ბეჯითი ამ მერსალის
თატარში კომედლის თამაშში მხოლოდ ის არი, რომ
რაც გინდ ბევრი იოსტატოს ქონსერვატორულ-
მა პალატის უმრავლესობამ, იმას მიინც მოელის აღრე-
თუ გვიან თავის ალაგის დაცლა სხვაგანაც კრებისთვის.

ის დღე ეხლანდელ პალატისთვის სიკვდილის ყამი
იქნება. ახლა ამისთანა საშინ მდგომარეობას ისეთი
კაცები, როგორც მერსალის დეპუტატებია, რომ
უფუხილდებოდნენ, რა გასაკვირველია.

საკვირველია, სასირცხო მარტო იმის გაუგებლობაა
რომ მერსალის პალატის ლტოლვას და მოქმედებას
საზრანგ თის ხალხის საქმეთ სთელიან ბევრნი უტყე-
ნონი!

აი, ასეთია ეხლანდელი საზრანგეთის მდგომარე-
ობა. ჩვენ მალე ვნახათ, როგორც ქალაქის კოშ-
კებსავეთ დაირღვევა მმართველობის ნაჭირნახულები.

ჩვენ ამახაც მოვესწრებით, რომ საზრანგეთის ნაც.
კრების სახალიდგან არა მარტო საზრანგეთის ასამა-
ღლებელი და სასიქადულო გადაწყვეტილება გამოვა.
იყო დრო, როცა ქონსერვატორული უფლებობს
ცნობილობდა და ამტკიცებდა.

რუსული გაზეთი

„თფილისის მოაგება“

1874-ში გამოიცემა იმავე პროგრამით,
იმავე დროს და იმ ფორმატით, როგორც
ამ წელს გამოდიოდა.

ხელ-მოსაწერი უსანი:

გაუგზავნელად: ერთის წლის—შვიდი მა-
ნეთი და ნახევარის წლით—ოთხი მანეთი.

გაგზავნი: ერთის წლით—რვამანეთი და
ნახევარის წლით—ოთხი მანეთი და ნახევარი
ხელის-მოწერა მიიღება რედაქციის კან-
ტორაში, ბოლოვინის პრესპექტზედ, ზუ-
ბალოვის სახლებში, ქალაქს.

„მუჰაკი“

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ბამოლის კვირაში ერთხელ

1874-ში გამოვა იმავე პროგრამით და მი-
მართულებით, როგორათაც აქამდის გამო-
დიოდა ფასი გაზეთისა, გაუგზავნელად და
გაგზავნითაც ერთის წლისა—ხუთი მანეთი,
ნახევარის წლისა—სამი მანეთი ხელის-მო-
წერა მიიღება თფილისში, „მუჰაკის“ რედაქცია-
ში, აგრეთვე მ. წატუროვის მალაზიაში, შაბუ-
როვის სახლებში.

რედაქტორი და გამომცემელი დოკტორი
ბრიგოლ აწრუნი.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ამ ადრესით
უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тифлисе, въ редак-
цїи армянской газеты „Мушакъ“

რედაქციისაგან

დიდის სიამოვნებით ვატყობნებთ ჩვენს
მკითხველებს, რომ უფ. ს. ტ. ზარაფოე-
მა მოგვანდო შექმნა საქმე:

ის კისრულ ობს დააბეჭდინ ოს
თავის ხარჯით ქართული სახელ-
მძღვანელო წიგნები პირველ-დაწყე-
ბით მეცნიერებებისა და ამასთანავე მისცეს
მათ დმწერებს შრომის ფასი ორას-
ორასი მანეთით თითო სახელმძღვანე-
ლოში.

თხულებები „დროების“ რედაქციას უნ-
და გამოგზავნოს, რაც შეიძლება უფრო
მალე. რედაქცია, ზოგიერთი პედაგოგების
შემწეობით, განიხილავს წარმოგზავნილ თხუ-
ლებებს, და უკეთესებს დაუყოვნებლივ
დაბეჭდავს.

საჭიროა დაუმატოთ, რომ თითოეული

მეცნიერების სახელმძღვანელო სიგრცით
ბოლკოს ქიმიის ან ბედწოდ სტიურტის
ფიზიკის ტოლო უნდა იქმნეს, ე. ი. 10 თა-
ბახამდე.
რაც სახელმძღვანელოებს სურათები
დასჭირდება მათი მოჭრა იკისრა უფ. ნ.
ძიკოლადემ.

ი ს ქ ი დ ე ბ ა

თფილისში, მართანოვის წიგნების მალა-
ზიაში, ხილზე და ვენფიანჯანისაში, პოლი-
ციის გვერდით და აგრეთვე სხვა ქალაქებ-
ში:

თ. ბრიგოლ ორბელიანის

ლ ე ქ ს ე ბ ი

შასი ათი შაური.

სიბრძნე სიცრუის წიგნი

ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა .

მეორედ გამოცემული.

შასი ათი შაური.

ქალაქს გარეთა მცხოვრებლებს შეუძლიან
პირ-და-პირ გამოცემლისაგან დაიბარონ ა
ადრესით:

თფილისს, პეტრე შიკაშვილს ანი
ხატის ქუჩაში, ხერხეულიძის სახლში.

ამ ახლო ხანში საზღვარს-გარეთიდან მო-
სული ინჯინერი იღებს წყლის ამყვანი მა-
შინების მოწყობას ყანებისა და ბაღების მო-
სარწყავად. მარტო ბორბლების შემწეობით
უსაქანელოთ, იმას შეუძლიან წყალი თერთ-
მეტი საყენისა და ნახევრის სიმაღლეზედ
აიყვანოს. ამ გარი წყლის ასაყვანი მაშინ
ძალიან იფათ ჯდება, ეხლანდელი საშუა-
ლებების შედარებით. აღრესის შეტყობა შეი-
ძლება გაზეთის „მაცკაზის“ რედაქციის კან-
ტორაში.

ВЪ КАБИНЕТЪ моемъ, находящемся на-
Армянскомъ базарѣ, въ Караваисарѣ генера-
ла Арруни, составляются проекты всякаго
рода нотаріальныхъ и домашнихъ актовъ
а также и дѣловыя бумаги, какъ-то: проше-
нія, апеллаціи, кассациі и проч.

Петръ Чарековъ.

„დროება“. 1873, № 402				ცნობათ-ფურცელი				თფილისი, 14 დეკემბ. 1873 წ.			
რკინის ზზა		ცეცხლის გაეგები		ფოზა		ბიჩა		თფილისის მაზანდა		სახაზინო განცხადებები	
ა) თფილისიდან	ლილა	სალამო	ა) შაე-ზღვაზე	ა) თფილისიდან	ბანკის ბილეტი 4% (1858)	მან. კაპ.	თფილისის მაზანდა	მან. კაპ.	სახაზინო განცხადებები	მან. კაპ.	სახაზინო განცხადებები
თფილისი	8.18	8.17	შოთიდან გემი მიდის:	რუსეთს: ყოვ. დღეს, კვირას გარდა.	ბანკის ბილეტი 5% (1860)	—	პური	1	10	—	—
მცხეთა	9.18	10.1	მდესისკენ — ხუთშაფ. შუადღეზე.	ქუთაისს: ყოველდღე კვირას გარდა.	მოგებიანი (პირველი სესხის)	96	ჭერი	50	50	—	—
ბორი	11.39	1.43	სტამბოლს — კვირაობით შუადღეზე.	ქახეთს, მზურგეთს, ზუგდიდს.	მოგებიანი (მეორე სესხის)	1	ბამბა	61	61	—	—
სურამი	1.52	4.30	სოხუმშიდამ:	პარასკე, ბაქოს; სამშაფთს და პარასკე.	მკრო (პოლიმპერიალი)	15	მეტყლი	6	8	—	—
შვირილა	6.49	—	შოთს — სამშაფთს, დამე.	ალექსანდრეპოლის: ოთხშა და პარასკე.	ქურსი	6	აბრეშუმი	7	—	—	—
ქუთაისი	7.55	—	მდე ას — პარასკე.	(შუადღეზე)	ერთ მანეთში იძლევიან.	—	ქონი	4	50	—	—
სამტრედია	9.02	—	ბ) ქასპიის ზღვაზე:	ოთხშაფ. და პარასკე.	ლონდონში.	32	ხორცი (ძროხის)	2	40	—	—
ახალ-სენაკი	10.02	—	ბაქოდამ გემი მიდის:	შოთს და პარასკე.	პარიში	342	ღვინო	8	—	—	—
შოთი	11.27	—	ასტრახანისკენ —	შოთს და პარასკე.	მენაში	—	სპირტი	9	90	—	—
ბ) თფილისისკენ	ლილა	—	ასტრახანისკენ —	შოთს და პარასკე.	სალომონი	71	შაქარი	—	—	—	—
შოთი	7.38	—	ტელეგრაფი	შოთს და პარასკე.	სკონტი (სარგებლის ფასი)	—	—	—	—	—	—
ახალ-სენაკი	9.11	—	მკი სიტყვის გაგზავნა ტელეგრა- ფით ღირს თფილისიდან:	შოთს და პარასკე.	ბროსო ფურცლები:	—	—	—	—	—	—
სამტრედია	10.12	—	ქუთაისს, შოთს	შოთს და პარასკე.	ხერსონის ბანკისა (5 1/2%)	87	—	—	—	—	—
ქუთაისი	11.17	—	ბორს, ღუშეთს, სიღნახს	შოთს და პარასკე.	ხარკოვის (6%)	85	—	—	—	—	—
შვირილა	12.38	—	როსტოვს, მდესას მდსკოვს	შოთს და პარასკე.	მოსკოვის (5%)	88	—	—	—	—	—
სურამი	4.57	7.15	პეტერბურგს, შარაფას	შოთს და პარასკე.	სიევის (6%)	—	—	—	—	—	—
ბორი	7.23	10.42	მენას, ავსტრიაში	შოთს და პარასკე.	აქციებია:	—	—	—	—	—	—
მცხეთა	9.52	1.49	ბერმანიაში	შოთს და პარასკე.	შაეზღვის ცეცხ. გემების	569	—	—	—	—	—
თფილისი	10.49	3.13	იტალიაში	შოთს და პარასკე.	ქავკაზის და მერკურის	181	—	—	—	—	—
გ) შასი თფილისი- დან	I კლ.	II კლ.	III კლ.	შოთს და პარასკე.	შოთი-თფილ რკინ. გზის	128	—	—	—	—	—
მცხეთამი	9.0	6.8	1.38	შოთს და პარასკე.	თფილისის სავაჭრო ბანკის	—	—	—	—	—	—
ბორამი	3.20	2.40	1.33	შოთს და პარასკე.	მდესის სავაჭრო ბანკის.	274	—	—	—	—	—
ელვამი	5.22	3.92	2.18	შოთს და პარასკე.	სალამანდრასი	325	—	—	—	—	—
ქუთაისამი	9.1	6.75	3.75	შოთს და პარასკე.	ქამპანის დვигатель	100	—	—	—	—	—
შოთამი	13.1	9.75	5.12	შოთს და პარასკე.	პირე. უზრუნველ-მყოფი	—	—	—	—	—	—
				შოთს და პარასკე.	(страх. общ.) საზოგ.	645	—	—	—	—	—
				შოთს და პარასკე.	მეორე უზრუნ. მყოფი ხაზ	190	—	—	—	—	—
				შოთს და პარასკე.	პეტერბ. უზრუნ. მყოფი	288	—	—	—	—	—
				შოთს და პარასკე.	მოსკოვის უზრუნ. მყოფი	286	—	—	—	—	—